



განცხადება # 3

„სამართლიანი არჩევნები“ წარმოგიდგენთ 22:00 საათისთვის არსებულ მონიტორინგის შედეგებს.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქი

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 20 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვის მაგივრად ხმის მიცემის ფაქტი.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 17 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ იყო მინიშნება სიის დანართში გადატანილი ამომრჩეველების შესახებ. დაიწერა **საჩივარი** ჩვენი დამკვირვებლის მიერ.

ასეთივე ფაქტი დაფიქსირდა # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 68 საარჩევნო უბანზე. „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ დაიწერა **საჩივარი**, რომლის შედეგადაც გაბათილდა გადასატანი საარჩევნო ყუთის შედეგები.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 43 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა მარკირება გავლილი ამომრჩეველების მიერ ხმის მიცემის მცდელობა (15-20 ამომრჩეველი).

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 49 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვის მაგივრად ხმის მიცემის ფაქტი. საარჩევნო უბანზე მისულ ამომრჩეველს საკუთარი გრაფა ხელმოწერილი დახვდა და არ მიეცა კენჭისყრაში მონაწილეობის საშუალება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ამ უბანზე დაიწერა **საჩივარი**.

იგივე ფაქტი დაფიქსირდა # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 55 საარჩევნო უბანზე, სადაც ასევე დაიწერა **საჩივარი** „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 55 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა სიის დანართში აღმოჩნდა 5 ამომრჩეველი, რომელიც არ იყო ერთიან ამომრჩეველთა სიაში. დაიწერა **საჩივარი**.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 3 საარჩევნო უბანზე სადემონსტრაციო ოქმზე არ იყო მითითებული რეგისტრაციის ბეჭდის ნომრები. მხოლოდ ჩვენი დამკვირვებლის მოთხოვნის შემდეგ აღმოიფხვრა აღნიშნული ხარვეზი.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 24 საარჩევნო უბანზე კვლავ დაფიქსირდა ყალბი პირადობის მოწმობით ხმის მიცემის მცდელობა 5 ამომრჩეველის მიერ. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 3 და # 25 საარჩევნო უბანებზე.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 17 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის მცდელობა.

79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 17 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ჩვენს დამკვირვებელზე ზეწოლა.



81 ქობულეთის საარჩევნო ოლქი

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 58 საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა ერთიან სიაში ერთ-ერთი ამომრჩევლის გვარის გასწვრივ მითითებულია რომ გადაყვანილია სიის დანართში, თუმცა აღმოჩნდა რომ ეს პიროვნება არ არის სიის დანართში. საარჩევნო უბანზე დაიწერა **საჩივარი** ჩვენი დამკვირვებლის მიერ.

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 15 საარჩევნო უბანზე საარჩევნო ყუთში ბიულეტენი მოათავსეს სპეციალური კონვერტის გარეშე. დაიწერა **საჩივარი**.

81 ქობულეთის საარჩევნო ოლქის # 29 საარჩევნო უბანზე საარჩევნო ბიულეტენი ამომრჩეველს მისცეს პირადობის მოწმობის წარდგენის გარეშე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწერა **საჩივარი**.

82 შუახევის საარჩევნო ოლქი

82 შუახევის საარჩევნო ოლქის # 38 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ვადაგასული პასპორტით მიცემის მცდელობა.

82 შუახევი საარჩევნო ოლქის # 43 ახალდაბის საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ არაუფლებამოსილი პირები. ჩვენს დამკვირვებელს ამასთან დაკავშირებული საჩივრის დაწერის საშუალება არ მიეცა, შემდეგ კი დამკვირვებელს მიაყენეს შეურაცხოვა და ზეწოლის შედეგად იძულებული გახდა დაეტოვებინა საარჩევნო უბანი. ამასთანავე, ამ საარჩევნო უბანზე დამკვირვებლის მიერ დაფიქსირდა ამომრჩეველთა 175 კაციანი აქტივობა, უბნის მონაცემების მიხედვით კი აქტივობა შეადგენდა – 315 ამომრჩეველს.

82 შუახევის საარჩევნო ოლქის # 43 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ბიულეტენების ჩაყრის ფაქტი.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 35 საარჩევნო უბანზე ორმა არასრულწლოვანმა მოქალაქემ მისცა ხმა. შესაბამისად დაიწერა **საჩივარი** „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 9 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა სხვისი პირადობის მოწმობით ხმის მიცემის ფაქტი. აღნიშნულ საარჩევნო უბანზე დაიწერა **საჩივარი**.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანზე „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელმა დააფიქსირა, რომ ერთ კონვერტში მოთავსებული იყო ორზე მეტი ბიულეტენი, რომელიც ჩააგდეს საარჩევნო ყუთში. მიუხედავად ჩვენი დამკვირვებლის თხოვნისა, მას არ მიეცა საშუალება აღნიშნული ფაქტი გადაემოწმებინა. შესაბამისად ჩვენმა დამკვირვებელმა დაიწერა **საჩივარი**.



სამართლიანი არჩევნები

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მოსყიდვის მცდელობა, რომელსაც შესთავაზეს სამსახური გაცემების სანაცვლოდ.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანზე საარჩევნო ყუთში ჩაიყარა 5 ყალბი ბიულეტენი საარჩევნო კომისიის წევრის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ დანიშნული კომისიის წევრი) მიერ. აღნიშნულ უბანზე დაიწერა **საჩივარი**.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 37 საარჩევნო უბანზე გადასატანი სარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმ ამისცა ერთით მეტმა ამომრჩეველმა. ამასთან დაკავშირებით დაიწერა **საჩივარი**, რის შედეგადაც გაუქმდა გადასატანი სიის შედეგები.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 11 საარჩევნო უბანზე სიის დანართში დაფიქსირებული იყო 65 ამომრჩეველი, თუმცა გადასატანი საარჩევნო ყუთის დაბრუნების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ხმა 70 ამომრჩეველმა მისცა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით დაიწერა **საჩივარი**, რის შედეგადაც გადასატანი სარჩევნო ყუთის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი.

84 ხულოს საარჩევნო ოლქი

84 ხულოს საარჩევნო ოლქის # 26 საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა ერთი და იგივე პიროვნების მიერ ორჯერ ხმის მიცემის ფაქტი. აღნიშნულ საარჩევნო უბანზე დაწერილ იქნა **საჩივარი**.

84 ხულოს საარჩევნო ოლქის # 17 საარჩევნო უბანზე „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელს შეეზღუდა დაკვირვების უფლება, თუმცა აღნიშნული პრობლემა მოგვარდა საარჩევნო ოლქის ჩარევის შემდეგ.

ამ ეტაპისათვის „სამართლიანი არჩევნების“ მიერ საარჩევნო ადმინისტრაციებში (აჭარის ა/რ-ის ტერიტორიაზე) შეტანილია სულ 41 საჩივარი.

„სამართლიანი არჩევნების“ არჩევნების დღის მონიტორინგი დაფინანსებულია ეუთოსა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიანი არჩევნების“ და არ გამოხატავს ეუთოსა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ოფიციალურ პოზიციას.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge